სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ **რექტორის 2022 წლის 26 იანვრის № 17/01-01** ბრძანების საფუძველზე ქიმიის **დეპარტამენტში** გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2022 წლის 31 იანვრის დადგენილების № 3 /2022** საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი N 1

15 მარტი 2022 წ. ქ. თბილისი, თსუ

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **იოსებ ჩიკვაიძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);
2. **მაია რუსია** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარის მოადგილე**);
3. **მარინა ქარჩხაძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი (**კომისიის მდივანი**).
4. **ელენე კაცაძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ვაკანზიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ასოც.პროფ. იოსებ ჩიკვაიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

შეაფასების პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ნელი სიდამონიძის

განათლება - თსუ, კვალიფიკაცია-ქიმიკოსი, სპეციალობით მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია – დიპლომი Я N-173261 . **აკადემიური / სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის** სამეცნიერო ხარისხი, **სპეციალობით** –ბიოორგანული ქიმია, ბუნებრივი და ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმია N 001077 (2002 წ.) **მინიჭებული კვალიფიკაცია** – პროფესორის სამეცნიერო–პედაგოგიური წოდება ბიოორგანული ქიმიის სპეციალობით (N 000522, 26.02.96). **სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, კონკურსანტმა ნელი სიდამონიძემ I **კატეგორიაში** „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს"**.

II - **კატეგორიაში** პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი (45 წელი), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სახელმძღვანელოები: (1. **ბიოორგანული ქიმიის მოკლე კურსი**, თსუ-ს გამომც. 2016 გვ. 380. ISBN 978-9941-13-514-9. 2. **ნახშირწყლების ქიმია** (სალექციო კურსი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის), თსუ-ს გამომც. 2011, გვ.380. ISBN 978-9941-13-221-6 ; 3. **„ლაბორატორიული პრაქტიკუმი ბიოორგანულ ქიმიაში"**, თსუ-ს გამომც. 2016 გვ. 243; 4. **„ბუნებრივ ნაერთთა ქიმია"**. გამომცემლობა „უნივერსალი" . 2021 წ. გვ. 280. ISBN 978-9941-25-790-2) - არის ელექტრონული ვერსიებიც და ა.შ. ბოლო 6 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით დაცულია იყო 14 სამაგისტრო ნაშრომი. ამჟამად არის 4 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ამჟმად კითხულობს 2 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო კურსს, რომელიც არის ბიოორგანული ქიმიის კათედრის სასწავლო გეგმაში. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით II **კატეგორიის** მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„მაღალი"**

III **კატეგორიაში – სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა** – კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს 165 სამეცნიერო სტატია, მათ შორის **იმპაქტ–ფაქტორიან** და მაღალრეიტინგიან **ISBN 978-9941-25-790-2** ჟურნალებში (ბოლო 6 წელიწადში 30, მათ შორის 12 საერთაშორისო კონფერენცია). აქვს ციტირების ინდექსი: H – 6, g-13. 2013-2016 წლებში მონაწილეობდა **საგრანტო** პროექტში (სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი №31/90). ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ (საშუალოდ) ენებს. მის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს, საერთო შეფასება III **კატეგორიის** ორივე ნაწილში არის **„მაღალი"**.

IV **კატეგორია – სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**: იგი აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა თაობის დაინტერესების საქმეში, არის სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) დაცვის კომისიის წევრი, დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი, ქიმიის დეპარტამენტის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი (მდივანი),

ქიმიის დეპარტამენტის პროფესორთა საბჭოს წევრი (მდივანი), სტრუქტურული ერთეულების კომისიის წევრი, ქიმიის დეპარტამენტის საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, კოორდინატორი. ნელი სიდამონიძის საერთო შეფასება IV **კატეგორიაში არის „მაღალი“**

კონკურსის მეორე ეტაპი – **გასაუბრება:** – აღინიშნა, რომ ნელი სიდამონიძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ქიმიის დეპარტამენტში - კათედრა „ბიოორგანული ქიმია“ – კონკურსზე გამოცხადებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიასთან. ჩატარებული ფარული კენჭისყრით კომისიამ ერთხმად (4 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი ნელი სიდამონიძის კანდიდატურას.

დაადგინეს:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში, კათედრა – ბიოორგანული ქიმია – ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმი N1) და II (ოქმი N 2) ეტაპების შედეგების საფუძ–
ველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

ქიმიის დეპარტამენტი
კათედრა –ბიოორგანული ქიმიის
ნელი სიდამონიძე - ასოცირებული პროფესორი

კომისიის თავმჯდომარე,
ასოც. პროფ. ი. ჩიკვაიძე

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე, ასოც.პროფ. მ.რუსია

ასისტ.პროფ. მ. ქარჩხაძე

მდივანი
ასისტ..პროფ. /ე.კაცაძე/